

შპს „დეიზი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(არააუდირებული)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. შესავალი	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	9
5. ძირითადი საშუალებები	10
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8. მარაგები	10
9. სესხები	11
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
11. ამონაგები	11
12. თვითღირებულება	11
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11
14. მიწოდების დანახარჯები	12
15. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები	12
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	12
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
18. ფინანსური ანგარიშგების დამკიცება	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1 992 200	1 046 539
არამატერიალური აქტივები		2 839	-
		1 995 039	1 046 539
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	259 739	191 689
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	260 406	146 482
მარაგები	8	71 785	-
საგადასახადო აქტივები		-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	-
		591 929	338 171
მთლიანი აქტივები		2 586 968	1 384 710
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 213 557	932 434
		1 213 557	932 434
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1 165 719	369 382
		1 165 719	369 382
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	114 900	37 565
საგადასახადო ვალდებულებები		92 792	45 329
გადასახდელი პროცენტები		-	-
გადასახდელი დივიდენდები		-	-
		207 692	82 894
მთლიანი ვალდებულებები		1 373 411	452 276
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 586 968	1 384 710

*ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

*შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი
გიორგი სხულუხია



სრული შემოსავლის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	შენიშვა	2023	2022
ამონაგები	11	3 482 116	2 956 487
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(1 116 945)	(1 432 339)
საერთო მოგება		2 365 170	1 524 148
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1 921 195)	(1 144 571)
მიწოდების ხარჯები	14	(123 552)	-
საოპერაციო მოგება		320 422	379 577
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა		(20 944)	-
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(53 275)	-
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	15	(21 959)	(16 450)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		224 245	363 127
მოგების გადასახადის ხარჯი		(20 384)	-
წლის მოგება (ზარალი)		203 861	363 127
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი (ზარალი)		203 861	363 127

*ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

*შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

დირექტორი
გიორგი სხულუხია



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)


	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	932 434	932 434
წმინდა მოგება	-	-	203 861	203 861
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	203 861	203 861
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
სხვა ცვლილებები კაპიტალში	-	-	77 262	77 262
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	1 213 557	1 213 557

*ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

*შენიშვნები 6-13 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

ხელმომწერი პირები:

დირექტორი
გიორგი სხულუხია



შპს „დეიზი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დეიზი“ დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2003 წლის 31 დეკემბერს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, გიორგი სხულუხია (ს/კ 62001000321) წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს, სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა. ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 73110

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, სანაპირო კოსმონავტების, N 49, კომერციული ფართი N58, კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 249271167.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შედავას და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის. კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის

შპს „დეიზი“

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31.12.2023	31.12.2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ამონაგები

ამონაგები მოიცავს, პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწვიდან მიღებულ შემოსავლებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს. შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მისი

შპს „დეიზი“

შესყიდვის ფასის, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე. ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
შენობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-20
ავეჯი და ინვენტარი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	8-10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. თუ შესაძლებელია საექსპლუატაციო ვადის გონივრულად განსაზღვრა, მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში. არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

შპს „დეიზი“

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალო ებები	სულ
31 დეკემბერი 2022	-	740 598	525 806	73 837	-	147 586	1 487 827
შემოსვლა	374 492	472 228	204 831	29 860	10 462	10 840	1 102 714
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	374 492	1 212 827	730 637	103 697	10 462	158 426	2 590 541
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2022	-	(150 424)	(231 472)	(24 499)	-	(34 894)	(441 288)
პერიოდის ცვეთა	-	(26 991)	(87 269)	(21 217)	(233)	(21 342)	(157 052)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(177 415)	(318 741)	(45 716)	(233)	(56 235)	(598 341)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	-	590 175	294 333	49 338	-	112 693	1 046 539
31 დეკემბერი 2023	374 492	1 035 412	411 896	57 981	10 229	102 191	1 992 200

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული საღარიბოში	744	191 689
ეროვნული ვალუტა ბანკში	258 974	-
უცხოური ვალუტა ბანკში	21	-
სულ	259 739	191 689

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	251 369	124 988
გადახდილი ავანსები	9 036	20 380
სხვა მოთხოვნები	-	1 114
სულ	260 406	146 482

8. მარაგები

მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
ნედლეული და მასალები	67 213	-
საწვავი	4 572	-
სულ	71 785	0

9. სესხები

სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი		
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან	1 165 719	369 382
	1 165 719	369 382
მოკლევადიანი		
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხი	-	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	-	-
	-	-
სულ სესხები	1 165 719	369 382

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	40 581	37 565
მიღებული ავანსები	34 257	-
სხვა ვალდებულებები	40 063	-
სულ	114 900	37 565

11. ამონაგები

ამონაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
საქონლის გაყიდვა	3 332 437	2 956 487
მომსახურების გაწევა	149 678	-
სულ	3 482 116	2 956 487

12. თვითღირებულება

თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ნედლეული და მასალა	(1 014 077)	(1 432 339)
ცვეთა და ამორტიზაცია	(102 868)	-
სულ	(1 116 945)	(1 432 339)

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(1 654 525)	(871 406)
იჯარის ხარჯი	(5 075)	-
კომუნიკაციის ხარჯი	(10 451)	-
კომუნალური ხარჯი	(30 604)	-
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(27 371)	-

შპს „დეიზი“

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(33 217)	(81 114)
მივლინების ხარჯი	(20 597)	-
საგადასახადო ხარჯი	(15 764)	-
საოფისე და სამეურნეო ხარჯი	(16 033)	-
შრომის უსაფრთხოების ხარჯი	(5 342)	-
ძირითადი საშუალების საექსპლუატაციო ხარჯი	(68 787)	-
სხვა საერთო ხარჯი	(33 429)	(192 051)
სულ	(1 921 195)	(1 144 571)

14. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯი	(36 441)	-
მიწოდების სხვა ხარჯები	(50 454)	-
რეკლამის ხარჯები	(12 856)	-
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(2 268)	-
შრომის ანაზღ. და საკომისიო გასამრჯელო	(191)	-
ცვეთის ხარჯი	(21 342)	-
სულ	(123 552)	-

15. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

წმინდა ფინანსური შემოსავლები და ხარჯები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<i>ფინანსური ხარჯი</i>	2021	2022
საპროცენტო ხარჯი	(21 959)	(16 450)
სულ ფინანსური დანახარჯები	(21 959)	(16 450)

<i>ფინანსური შემოსავალი</i>	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	-	-
სულ ფინანსური შემოსავალი	-	-

ნეტო ფინანსური დანახარჯები	(21 959)	(16 450)
-----------------------------------	-----------------	-----------------

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:
საქონლისა და მომსახურების მიწოდება:

	2023	2022
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	10 381	0
სულ	35 000	35 000

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2023	2022
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	31 516	0

სულ	41 897	0
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:		
	2023	2022
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 7) ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	0	0
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 13) ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	18	0
სულ	18	0

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	364 372	364 372
სულ	364 372	364 372

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

18. ფინანსური ანგარიშგების დამკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.